# საქართველოს მთავრობის

# დადგენილება

N 112 2017 წლის 2 მარტი ქ. თბილისი

**„ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „ეკონომიკის რეგულირებადი სფეროების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 5 დეკემბრის №667 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 08/12/2014, 240140000.10.003.018287) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა$^{1}$“ ქვეპუნქტი:

„ა$^{1}$) ავტობუსებით ($M_2$ კატეგორია) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა;“.

**მუხლი 2.** ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული სამგზავრო გადაყვანა ეკონომიკის რეგულირებად სფეროდ განისაზღვროს 2017 წლის პირველი აპრილიდან 2020 წლის პირველ აპრილამდე.

**მუხლი 3.** დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**პრემიერ-მინისტრი** **გიორგი კვირიკაშვილი**